№2 (9909) ◆ აპრილი, 2024 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან

5 მაისს აღდგომის ბრწყინვაღე ღღესასწაულია! გილოცავთ!

ანგარიში ჩაბარებულია,

ახლახანს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, **ზვიად მხეიძე** საზოგადოების წინაშე 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშით წარსდგა. მან მსმენელთა ფართო აუდიტორიას მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობამ 26 363 148 ლარი შეადგინა და მთლიანი ფინანსური რესურსი მიზნობრივად გადანაწილდა სხვადასხვა სფეროს მიმართულებით ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროების შესაბამისად.

პრიორიტეტული მიმართულებებიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა 10 315 071 ლარი. რის შედეგადაც განხორციელდა 129 ინფრასტრუქტურული პროექტია.

მაგალითად გაღმა ბარეულში, ბაჯში, ხონჭიორსა და გორში განხორციელდა წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებზეც 1 200 000 ლარზე მეტი დაიხარჯა. აღსანიშნავია, რომ ღღეს უკვე წყალი მიეწოდება ისეთ სოფლებს, რომლებსაც ათწლეულების მანძილზე აწუხებდათ ეს პრობლემა.

ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები როგორიცაა ხოტევი-ველევის დამაკავშრებელი 8.4 კილომეტრი სიგრძის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 6 345 000 ლარი, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება, ასევე ჟოშხა-გენდუშის 5 კმ-მდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ღირებულებით 3 300 000 ლარი, რომელსაც საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

ქ. ამბროლაურში კოსტავას ქუჩის მიმდებარედ, მდ. კრიხულას სანაპიროზე, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული როლის გაზრდის მიზნით, მიმდინარეობს მრავალფუნქციური ცენტრის მშენებლობა. ასევე დასრულდა ქ. ამბროლაურში ამფითეატრის მშენებლობის პროექტირება.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის, მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო 3 025 000 ლარი.

წინ სერიოზული საქმეებია გასაკეთებელი

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში 2023 წელს 12 სოფელში მოწესრიგდა განათება. 1 სოფელში – სპორტული ინფრასტრუქტურა. 5 სოფელი – სასაფლაოს შემოღობვა. მოსაცდელი – 1 სოფელი. სველი წერტილის მოწყობა – 1 სოფელი. 24 სოფელში – სასმელი წყალი. 5 სოფელში – მოეწყო საბავშვო სკვერი. სანიაღვრე არხები – 3 სოფელში. საუბნო გზა –13 სოფელში. ნაპირსამაგრი – 1 სოფელში. ხიდბოგირი – 2 სოფელში.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში პირველად გაიხსნა საგამოცდო ცენტრი, რაც აბიტურიენტებს აძლევთ, როგორც დროის ისე ფინანსური რესურსის დაზოგვის შესაძლებლობას.

ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსების მიზნით 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 768 100 ლარი, დაფინანსდა 16 სოციალური და 5 სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა.

მერმა გაახმოვანა ის სიახლეები, რომელთა განხორციელება იგეგმება 2024 წელს. კერძოდ იწყება მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელება, რომელიც გულისხმობს უსახლკარო ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, რისთვისაც პირველ ეტაპზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან 100 000 ლარია გამოყოფილი. პროგრამა ითვალისწინებს მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას მუნიციპალიტეტში და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობას. მიმდინარე წელს შესაძლებელი იქნება ორი ოჯახის დაკმაყოფილება.

მუნიციპალიტეტის მერმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას თანადგომისა და ერთობლივი საქმიანობისათვის. გამოთქვა რწმენა, რომ საქმიანი, ურთიერთ პატივისცემის ვითარებაში თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება და მოსახლეობის აქტიური ჩართულობით, ყველა რგოლის ერთ გუნდად შეკრული ქმედებებით მიღწეულ იქნება ის შედეგი, რასაც ჰქვია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა და ქვეყნის მასშტაბით მოწინავე პოზიციებზე ყოფნა.

საინფორმაციო შეხვედრა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინიციატივით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რწმუნებულის ადმინისტრაციისა და საქართველოს იუსტიციის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, ხუთი დღის განმავლობაში, მიმდინარეობდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით საინფორმაციო შეხვედრები რაჭის დაცული ტერიტორიების განვითარებისა და დაგეგმილი პროექტების შესახებ, სადაც დეტალურად იქნა განხილული რაჭის რეგიონში დაცული ტერიტორიების განვითარების მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული საკითხები.

შესაბამისად, შეხვედრებზე მოქალაქებმა მათთვის საინტერესო თემებთან დასმულ შეკითხვებზე კონკრეტული პასუხები მიიღეს კომპეტენტური პირებისაგან.

ძირითადი პრიორიტეტი: საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით მაშტაბური პროექტები ხორციელდება. მათ შორის გამოკვეთილად პრიორტეტულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა. სოფელ ზნაკვაში 3.7 კილომეტრამდე გზაზე იგება ბეტონის საფარი.პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულება 424 000 ლარს შეადგენს.

ბეტონის საფარის დასაგებად მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს აგრეთვე სოფელ ბოსტანაში, პროექტის ღირებულება 157 000 ლარია და სამუშაოები წელსვე დასრულდება.

საუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს სოფლებში კვაცხუთსა და ხიმშშიც. კვაცხუთის პროექტის სრული ღირებულებაა 838000 ლარი და გარდამავალია. წელს შესრულდება 325000 ლარის სამუშაო.ხიმშში კი დაიხარჯება 575 000 ლარი.

ინფორმაცია

***

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან გამართულ მორიგ სამუშაო შეხვედრაზე მსჯელობა წარიმართა აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილი წინამოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობაზე. მუნიციპალიტეტის მასშტაბით განსაკუთრებით პრობლემური მონაკვეთებისა და სასაფლაოებთან მისასვლელი გზების გაწმენდითი სამუშაოების დაჩქარებაზე, რათა გადაადგილება შესაძლებელი იყოს ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებისთვის.

თათბირზე განიხილეს აგრეთვე საგზაო ინფრასტრუქტურისა და წყალსადენი სისტემების მოწესრიგების საკითხი. აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტი აქტიურ რეჟიმში მუშაობს თითოეული პრობლემის აღმოსაფხვრელად, თუმცა ეს მიმართულებები კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება.

შეხვედრაზე საუბარი მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზეც გაგრძელდა.

წარმომადგენლებს მოსახლეობის მიმართვებზე სწრაფი რეაგირება და მათთვის მერიაში მოქმედ პროგრამებზე დეტალური ინფორმაციის მიწოდება დაევალათ

***

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართულ მორიგ შეხვედრაზე იმ კომპანიების წარმომადგენლებთან, რომლებიც მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებენ მოსმენილ იქნა დეტალური ინფორმაციები სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

მართალია, სამუშაოების მიმდინარეობის ტემპი დამაკმაყოფილებელია და ხარვეზები გზადაგზა სწორდება, მაგრამ მშენებლებს მკაცრად შეახსენეს, რომ მაქსიმალურად კონტროლდება შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვის საკითხი.

შესაბამისად, მშენებარე ობიექტებზე ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირების მონიტორინგის მიზნით, მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, სამუშაო პროცესების ადგილზე გაცნობა კვლავაც სისტემატიურად გაგრძელდება.

***

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში ონლაინ რეჟიმში გამართა – სეპარირებული ნარჩენების მართვის მიმართულებით სამუშაო შეხვედრა, რომელსაც რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერები და ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი მუშაობს საპროექტო იდეაზე, რომლის მიზანია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის მიმართულებით. საპროექტო იდეა ეფუძნება სეპარირებული ნარჩენების ხარჯ-ეფექტიან და ორგანიზებულად მართვას.

***

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულომ სამოცდამეოთხე (რიგგარეშე) სხდომაზე ცვლილებები შეიტანა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის №19 დადგენილებაში, 2024 წლის №16 და №17 განკარგულებებში.

თანხმობა მისცა მუნიციპალიტეტის მერს. „ქ. ამბროლაურში მახალდიანის ქუჩაზე (ავტოსადგურის მიმდებარედ) არსებული საზოგადოებრივი საპირფარეშოს (ს/კ №86.19.21.116) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით, 20 წლის ვადით, დავით ბათხაძისათვის (პ/ნ 04001001992) გადაცემაზე.

სხდომამ ცვლილება შეიტანა ასევე „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის №38 დადგენილებაში.

***

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 65-ე რიგგარეშე სხდომამ ცვლილებები შეიტანა საკრებულოს 2017 წლის №18 , №10 დადგენილებებში, 2023 წლის №86 და 2017 წლის №20 განკარგულებებში.

დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეყნის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა და გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილება.

თანხმობა მისცა მუნიციპალიტეტის მერს საგრანტო კონკურსის „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ ფარგლებში ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების მხარდაჭერის შესახებ გრანტის მიღებასა და ხელშეკრულების გაფორმებაზე.

***

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 66-ე მორიგმა სხდომამ მოისმინა და შეაფასა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურების ხელმძღვანელების ანგარიშები 2024 წლის პირველ კვარტალში გაწეული საქმიანობისა და ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.

ბიუჯეტის პირველი კვარტლის შედეგები როგორც საშემოსავლო ისე საგადასახადო ჭრილში წარმოდგენილ და განხილულ იქნა პუნქტობრივად. ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 5043,9 ათასი ლარი. მათ შორის შემოსავლებმა 3582,7 ათასი ლარი, აქედან გადასახადებია 2652,5 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები შესრულებულია 112 %-ით. მათ შორის საკუთრებიდან 142 %-ით.

აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი კანონის ჩარჩოებშია, ხარჯვა გეგმაზომიერი, რაც იძლევა სასიკეთო საქმეების კეთების საშუალებას.

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!“



ДЕДА ЕНА

ANU

ANBANI DA PIRVELI SAKITHAVI WIGNI

SAXALXO WKOLEBISATVIS

შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.

გამოცემა პირველი, სურათებით.

ფასი ექვსი შაური.

TBILISI

მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

1876

მსოფლიოში არსებულ იმ 14 დამწერლობა – ენას შორის უძველესია და ქართველთათვის განძი მშობლიური ენა – ქართული, რომელსაც საფრთხე შეექმნა 1978 წელს, მაგრამ მოსახლეობამ, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, მასობრივი გამოსვლით შეძლო მისი დაცვა და 1990 წლიდან 14 აპრილი დააწესა დედაენის დღედ.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დედაენის დღისადმი მიძღვნილი საინტერესო შეხვედრები გაიმართა. მაგალითად ღონისძიებებით „ჰიმნი დედა ენას“, „ქართული ქართველთ რწმენაა,“ „ო, ენავ ჩემო...“ საბავშვო ბიბლიოთეკამ, კვაცხუთისა და ველევის საჯარო სკოლებმა მოსწავლე-ახალგაზრდობას ერთხელ კიდევ მიაწოდეს სწორი ინფორმაცია მასზედ, რომ ქართულ დამწერლობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რომ ის არის განძი, რომელსაც საფრთხე არასდროს უნდა შეექმნას, ეს არის ის, რასაც ყველაზე მეტად სჭირდება ახალგაზრდებისაგან დაცვა და გაფრთხილება.

ადგილობრივთა არჩევანითა და ჩართულობით

წლებია, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ მოსახლეობას საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად ეძლევა მცირე პროექტების არჩევანის საშუალება. წელსაც ამბროლაურის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე გამოეყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან 734 000 ლარი. თითოეულ სოფელზე გათვალისწინებულია 10000–10000 ლარი.

მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებზე გამოთქმულ წინადადებებზე დაყრდნობით 18 ადმინისტრაციულ – ტერიტორიულ ერთეულში შემავალ სოფლებში განხორციელდება 69 პროექტი. რომელთაგან 16 პროექტი ითვალისწინებს სასმელი წყლების, სათავე ნაგებობებისა და სისტემების მოწესრიგებას. 13 სასოფლო და შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციას, 9 სასაფლაოების შემოღობვას და მისასვლელი გზების კეთილმოწყობას. 12 სანიაღვრე არხების, განათების და ასფალტის ბეტონის გზის მოწყობას.

სოფლების ნაწილმა არჩევანი გზისპირა მოსაცდელის, სკვერების, სპორტული მოედნის მოწყობის და ხიდის რეაბილიტაციაზე გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერია ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით ამჯერადაც შეეხიდა რამოდენიმე სოფელს. კერძოდ ჭრებალოში, ბუგეულში ტყეშელაშვილების უბანში, სადმელში და ძირაგეულში სანიაღვრე არხების მოწყობაზე, პირველ ტოლაში თვარაძეებისა და ქექნაძეების შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციაზე, მეორე ტოლაში სასაფლაოების შემოკავებაკეთილმოწყობაზე, ბოსტანაში, ხვანჭკარაში სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე, კლდისუბანში შიდა საუბნო გზების და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე, წესში სანიაღვრე არხების მოწყობასა და განათების გაგრძელებაზე, ლიხეთში ბეშიძეების საუბნო გზისა და ურავში სასაფლაომდე მისასვლელი შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციაზე, ნიკორწმინდასა და ხარისთვალზე სასაფლაოების შემოღობვა-კეთილმოწყობაზე (ერთობლივი პროექტი №55 – №56) თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 60 ათასი ლარი. ე.ი. სულ დაიხარჯება 798000 ლარი.

ცხადია, მონიტორინგი მიმდინარეობაზე იქნება ადგილობრივი ხელისუფლებისაგან, მაგრამ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც მშენებლებს, ისე ადგილობრივ მოსახლეობასაც.

„ვაჩუქოთ ლამპიონები ციცებში“

35 წელიწადია საქართველოში ამ სიტყვებზე შექმნილი საოცარი მუსიკა ნებისმიერ ქართველში სიამაყესთან ერთად გულისტკივილსაც იწვევს.

სიამაყესთან იმიტომ, რომ 1989 წლის 9 აპრილს ფაქტიურად დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მძლავრად ნაფეთქმა წყურვილმა მსოფლიოს დაანახა ქართველების ერთად ყოფნის ძალა. თუმცა ერს დაუტოვა დიდი ტკივილის განცდაც, რადგან თავისუფლებისათვის ბრძოლამ 21 სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდის სიცოცხლე შეინირა და უამრავი ადამიანი კი მოიწამლა.

დაღუპულთ, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის შეწირულ გმირად მოიხსენიებენ და ასე შევიდა ისტორიაში მათი სახელები. ერმა 9 აპრილი ეროვნული ერთიანობის დღედ გამოაცხადა.

35 წელიწადია ადამიანები მუხლმოდრეკით მიაგებენ მათ ხსოვნას პატივს და უამრავ ყვავილს უფენენ ფიანდაზად მათ სულებს არამარტო მრავლის მნახველი და მრავლის მოწმე რუსთველის პროსპექტზე, არამედ ქვეყნის მასშტაბით.

ქ. ამბროლაურში 9 აპრილის მემორიალს არ მოკლებია ყვავილები და სანთლები. სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ** და მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ**, სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელებთან და თაობების წარმომადგენლებთან ერთად ყვავილებით შეამკეს მემორიალი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გმირების ხსოვნას.

მოსწავლე-ახალგაზრდობამ შემოთავაზებული ღონისძიებით მადლობა გადაუხადა გმირებს თავისუფლებისათვის.

ახლა 2024 წელიწადია. 35 წელიწადი გავიდა იმ ავად მოსაგონარი დღიდან. თუმცა ქვეყანა მაინც ფარულ ომშია ჩართული. მადლობა თავისუფლებისათვის.

მოგონებათა კიდობანით მოწესრიგებული ხსოვნის თარო

მისასალმებელი ფაქტია, რომ მთავარი ბიბლიოთეკის მესვეურნი მუნიციპალიტეტში არა მარტო წიგნის მცველებს და პროპაგანდისტებს წარმოადგენენ, არამედ მრავალფეროვანი, საქმიანი ღონისძიებებითა თუ საზოგადოების ღირსეულ წარმომადგენლებთან სალონური შეხვედრებით, ამ გაუცხოებულ გარემოში, მაინც ახერხებენ ადამიანებს დაავიწყონ ყოველდღიური საფიქრალ-საზრუნავი, აჩუქონ ბედნიერი წუთები და ათქმევინონ: მადლობა იმისათვის, რომ არსებობთ. მისაბაძ ადამიანებს უფრო ახლოს გვაცნობთ და ცხოვრების ხალისს გვიბრუნებთ.

ცხოვრების რამდენიმე საათი კი ნამდვილად გაახალისა და ბევრ რამეზეც დაგვაფიქრა ეკატერინე ჭიჭინაძის წიგნმა „ჩემი კრიალოსანი“. პრეზენტაციის დიასახლისებმა კარგად გათვალეს. ეს იყო თითქოს ოფიციალური, მაგრამ წამყვანის ირინა ჩიხრაძის მიერ განსხვავებულ ფორმატში, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა სიმრავლითაც გამორჩეული შეხვედრის (ყვავილების, ლექსის, მუსიკის თანხლებით) ისე წარმართვა, რომ თავისთავად გამოვიდა თბილი, უშუალო და ბუნებრივი. კულტურის ცენტრის დირექტორის თამაზ დაუშვილის, რესურს ცენტრის ხელმძღვანელის კახა რეხვიაშვილის, ადგილობრივი გაზეთის რედაქტორის დალი დარახველიძის, მშობლების მაკა ნეფარიძის, ნანა გიორგაძის, ბიბლიოთეკის სამხატვრო ხელმძღვანელის გურამ გორდეზიანის, ახალგაზრდა პოეტის დავით კიკვაძის, ქალაქის მე-2 საჯარო სკოლის პედაგოგის მაია დგვარელის, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის გულიკო საღინაძის და სხვათა შეფასებები იყო წრფელი, განცდით გულიდან ალალად ამონათქვამი.

დამსახურებული მასწავლებლის – ეკატერინე ჭიჭინაძის პიროვნებას თითქმის ყველა იცნობს არა მარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში, როგორც განათლებულს, მრავალი თაობების აღმზრდელ პედაგოგს, ველევის სკოლის დირექტორს, დედას, ზოგადად სოფლის, ერის და ქვეყნის ჭირისუფალს კალამიც რომ უჭრის, მაგრამ პოეზიის, პროზისა და პუბლიცისტიკის ასეთი ნაზავის ავტორს ბევრი ვერ წარმოიდგენდა.

დღეს ბევრი იჩემებს პოეტობას, საკუთარი ფინანსებით წიგნებსაც ბეჭდავს, მაგრამ მცირე გამონაკლისის გარდა, მაკულატურად რჩება, რადგან ლექსებში პოეზია არ არის და შესაბამისად მკითხველიც არა ჰყავს. „ჩემი კრიალოსანი“ ამ მხრივ გამონაკლისია. დაიწყებ? ვეღარ მოწყდები. ტკბილ-მწარე მოგონებებიც კი ისე ახლობელია. მართლა გულის მონაწურია, ცხოვრების კრიალოსანია. კითხულობ და გიხარია, რომ წიგნის ავტორი ნაღდი რაჭველია. აკი თვითონვე ამბობს „ნაღდი რაჭველი მხოლოდ ის არის, ვინც რაჭაში ძლებს ახლა“. 50 წელზე მეტია გაძლო და ძლებს ახლაც უკიდეგანო თმენით, უფლისა და იმ კეთილი ადამიანების იმედით ადრე მას რომ გვერდში დაუდგნენ. მაგალითით იხელმძღვანელა და ბევრს, შეცდომების მიხვედრისა და გააზრების შანსის მიცემით, თვითონაც დაეხმარა სხვას და თან თაობებს მოძღვრავს: მერე ის სხვაც დაეხმარება სხვას და ასე გაადვილდება ცხოვრების გზაზე სვლაო. ბედნიერებაა ასეთ პედაგოგს მიაბარო საწვრთნელად შვილები. ასეთებს ეფერებიან და უფრთხილდებიან. მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომლებო, პრეზენტაციის მონაწილეებს იმ დღეს ქალბატონ ეკას წიგნით „ჩემი კრიალოსანი“ ნამდვილად შეგვივსეთ „მოგონებათა კიდობანით მოწესრიგებული ხსოვნის თარო“. მადლობა თქვენ და წიგნის ავტორს ეკა ჭიჭინაძეს.

„მადლი ქენი ქვაზე დადე...“

საერედაქციო ფოსტიდან

დღეს საზოგადოების გარკვეული ნაწილი 21-ე საუკუნეს უსირცხვილოს უწოდებს. რატომ? იმიტომ რომ სულიერება გვაკლია, მოსმენის კულტურა, ფასეულობები ქრება... ცოცხალი მაგალითი ვარ. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანს ხელთ მეპყრა დოკუმენტები, მაგრამ ვერა და ვერ ვიმტკიცებდი მამაპაპისეულ მიწის იმ ნაკვეთს შაორზე, რომლითაც წლების მანძილზე ვსარგებლობდი.

უსამართლობაზე, უფრო ადამიანთა დაუზუსტებელ მონაცემებზე დაყრდნობით, აგდებულად დაუსაბუთებელი არგუმენტების მოსმენამ მიკარნახა ბრძლის გაგრძელება. მირჩიეს, სხვაგან რას ეძებ სამართალს, ჩვენთანვე მოქმედ იურდიული დახმარების სამსახურის ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრის იურისტს მიმართეო.

გავიფიქრე რას ვკარგავ, ვსინჯავ მეთქი და დღემდე ვადანაშაულებ თავს, რატომ თავიდანვე არ მივმართე ქალბატონ **თეა ჩიკვაიძეს**. მშვიდად, წყნარად მომისმინა. ყურადღებით გაეცნო დოკუმენტებს. თავიდან კი არ მომიშორა, არამედ დამაკვალიანა, როგორ და რა უნდა გამეკეთებინა. სათანადო დოკუმენტების წარდგენის შედეგი ნამდვილად მოულოდნელი იყო. ნაკვეთი კვლავ ჩემს კერძო საკუთრებაში დარეგისტრირდა.

ქალბატონო თეა! დედაშვილურად გლოცავთ და მადლობას ვუხდი არა მარტო ჩემი სახელით თქვენს მშობლებსაც, რადგან აღზრდის კვალი აშკარად იგრძნობა თქვენს მცოდნე იურისტის ქმედებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში. კიდევაც რომ არ დაბრუნებულიყო ჩემს ფლობელობაში ნაკვეთი (მიწას საფლავში ხომ არ წავიღებ), მაინც მადლობელი დავრჩებოდი თქვენი მოსმენის კულტურით და თუ გნებავთ თმენის გამოთაც. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

მადლიერი მოქალაქეების სახელით ლიანა გურგენიძე, სოფ ჭელიაღელე

ფესვები მაინც მშობლიურ სოფელში აქვს

ტარიელ ლობჟანიძე იმ ახალგაზრდათაგანია, რომელმაც მოწაფეობის პერიოდშივე, თავისი ულამაზესი ლუხუნის ხეობის ქიმიურ მრეწველობის პოტენციალის გათვალისწინებით, აირჩია პროფესია – სამთო საქმისა და გეოლოგიის მენეჯმენტი. მართალია, ტექნიკური უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებული, დღეს დედაქალაქში ლიფტების კომპანიაში მოღვაწეობს და პროფესიის მიხედვით არ საქმიანობს, მაგრამ თავისი ჰორიზონტის მიღმა ოცნებაში ელოდება პერიოდს, როცა ლიხეთი, ურავი და აბარი კვლავ ხალხმრავალი იქნება და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებაში თავის სიტყვას იტყვის. მანამდე, სამი შვილის მამა ფესვები მაინც მთაში რომ უდგას, მონატრებულ თანასოფლელებს კაცობით, კუთხის სიყვარულით და შესაძლებლობების ფარგლებში საქმით ეხიდებათ.

ახლახანს მან მშობლიურ ურავისა და ლიხეთის საჯარო სკოლებს ახალი თაობის პროექტორების გადაცემით კარგი საჩუქარი გაუკეთათ. ამით მოსწავლეებს ინტერნეტის საშუალებით მეტი მასალის მოძიების საშუალება ეძლევათ, რაც მათ თვალსაწიერის ამაღლებას შეუწყობს ხელს. ძლიერი და განათლებული ახალგაზრდობა სჭირდება ქვეყანას, კუთხეს. ტარიელის ჩანაფიქრის მიზანიც ეს იყო. ამისთვის პედაგოგებისა და მშობლების სახელით დიდი მადლობა მას და ვუსურვებთ წარმატებები არ მოკლებოდეს ცხოვრებაში.

ც. გურგენიძე

უცდომელად გევლოთ სათუფლო გზაზე

ადამიანის საცხოვრისის მოსაწყობად მთავარი გზა და წყალია. ვინ იცის რამდენი აქვს ნაოცნებარი ველევის თემის მცხოვრებთ გზაზე, სხვა გარემოსთან დამაკავშირებელ აუცილებელ საშუალებაზე. თუ ადრე აქ, მტრისაგან ძნელად მისადგომ ადგილას, დასახლება და ცხოვრება ხელსაყრელი იყო, დროის ცვლილებამ და პროგრესმა სხვა პრობლემა დააყენა დღის წესრიგში, სახარურმე გზა აღარ აკმაყოფილებდა დროის გამოწვევას.

ოცნება ადამიანის ფანტაზიით შექმნილი უკიდეგანო შესაძლებლობის სამყაროა, სადაც ყველაფერი განხორციელებადია, რაც გულს სურს და რასაც გონება მიუწვდება. ოცნება გეზია, იდეაა, რომლის რეალიზებას ფიქრი, შრომა და კაპიტალი ესაჭიროება.

ფიქრი ოცნების განხორციელების გზების ძიება, ჩხრეკა, განსჯა, მომავლის ჭვრეტა და უზენაესთან საუბარია. ველევის თემის მოსახლეობა ბევრს ოცნებობდა, ეძიებდა და ფიქრობდა ყოფის გაუმჯობესების გზებზე მაგრამ...

2023 წელს სასწაული მოხდა! ახდა ის რის შესახებ გასულ საუკუნეში კი არა, რამდენიმე წლის წინაც ვერ გავბედავდით ოცნებას – დაიგო თანამედროვე სტანდარტების ბეტონის გზა. ყველა გახარებული ვართ, განსაკუთრებით, ასაკოვნები: ამას რას მოვესწარითო! და ნატრობენ სიცოცხლის გახანგრძლივებას, რათა გული იჯერონ საოცნებო გზის ცქერითა და მოხმარებით.

მართლაც, სამანქანო გზა პრობლემა იყო გასული საუკუნის 70-იან წლებამდე. სოფლის რთული გეოგრაფიული მდებარეობისა და რელიეფის გამო მხოლოდ ხის მორების საზიდი და ორხიდიანი მანქანების სავალი გზა სოფელ სხვავიდანაც იყო, წკადის-სხარტალიდანაც, დოლაბისთავის გავლით და ახოებზეცბურშების, ან ბოგირიკარის გავლით, მაგრამ ყველა ეს გზა რთული დასაძლევი იყო, განსაკუთრებით წვიმიანში, დოლაბისთავის გზა დარშიც სახიფათო იყო, მსუბუქი მანქანებით გადაადგილებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. რომელიმე ქალაქში წასასვლელად ან სხვა სოფელში გადასაადგილებლად ხაბაკ-ხუბაკით დატვირთულნი ფეხით ან ურმით უნდა ჩასულიყვნენ ხოტევსა თუ ამბროლაურში, თუ ბედი გაუღიმებდათ და ადგილს იშოვიდნენ ტრანსპორტში, იქედან უნდა გამგზავრებულიყვნენ, თუ არა და ნაცნობს უნდა მისდგომოდნენ კარს ღამის გასათევად მომდევნო დღის გამგზავრების იმედით. მე, ხოტეველს, რომ დამინახავს მოსაცდელში ბარგით დატვირთული ურმებით ჩამომდგარნი, ბევრჯერ მითქვამს გულში: საწყალი მათი თავი-მეთქი.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, კერძოდ 1972-1973 წლებში, გაიჭრა სამანქანო გზა სოფელ ხოტევიდან კვირიკეწმინდა-ველევის მიმართულებით, დაინიშნა ავტობუსიც, 3 რეისს აკეთებდა დღეში ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, ანუ თოვლის აღებიდან დაზამთრებამდე, ამოისუნთქა ველეველმა კაცმა!

როგორ აჩქარდა დრო, ტექნოლოგიების საუკუნემ ააცხადა ადამიანის ოცნება ჯადოსნურ სარკეზე, მფრინავ ხალიჩაზე, სწრაფლმავალ ჩექმებსა და უკვდავების წყალზე, მეოცნებე ადამიანის იდეა ათასწლეულების შემდგომ ფიქრმა, შრომამ და კაპიტალმა რეალობად აქცია. ველეველ კაცს დღეს აღარ სჭირდება ცაზე ყურება და თავის მტვრევა იმაზე ფიქრით, თუ როგორ და რით გადაადგილდეს, მაქსიმუმ 30 წუთში ამბროლაურშია! დრომ, საქმიანი ადამიანების მონდომებამ და შემართებამ ოცნება რეალობად აქცია. მადლობა მათ! (არავის ვასახელებ, მადლობა ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის, თუნდაც მცირე, ამ საუფლო საქმეში). უფალმა მოგცათ საშუალება საღმრთო საქმის კეთების. ჭეშმარიტი აღმსრუებელი ყოფილიყავით უფლის მცნების: მოგეცეს და მოგეთხოვოსო. ბევრი სასიკეთო საქმე გეკეთებინოთ. ღმერთის მფარველობის ქვეშ ყოფილიყავით მუდამ, მრავალი წელიწადი დაგაძველეთ წარმატებით! ხალხიც კმაყოფილი ყოფილიყოს თქვენი საქმიანობით და ფეხდაუცდომლად გევლოთ საუფლო გზაზე.

ეკა ჭიჭინაძე, სოფ. ველევი

მიმბაძველებიც გამოგჩენოდეთ

რატომღაც ბოლო პერიოდში საზოგადოების უმრავლესობაში დამკვიდრდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მათ მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე, ოჯახზე უნდა იზრუნონ, ხოლო დანარჩენი რაც ქვეყანაში, კუთხეში, სოფელში თუ უბანშია მოსაწესრიგებელი, ელემენტარულიც კი, აუცილებლად სხვამ უნდა მოუგვაროთ. განსაკუთრებულად მომთხოვნი და კრიტიკულნი არიან ადგილობრივი ხელისუფლებისადმი.

საბედნიეროდ ეს სტერეოტიპი დაარღვიეს სოფელ ხოტევში ავალიანების, ქევანაშვილების და კობახიძეების უბნის მაცხოვრებლებმა. მეზობლურად, შინაურულად მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, რომ საკუთარი სახსრებით მოაგვარონ სასაფლაომდე მდინარე ხოტეურაზე გასასვლელი პრობლემატური ხიდის საკითხი. შეაგროვეს თანხა, რომელზედაც 500 ლარი დაუმატათ თემურ გოცირიძემ და ააგეს კაპიტალური ხიდი, რითაც ამიერიდან მიცვალებულის სასაფლაომდე სამუდამო განსასვენებლამდე ღირსეულად მისვენების საშუალება ეძლევათ.

ყოჩაღ ავალიანებო, ქევანაშვილებო და კობახიძეებო. აი, ამას ჰქვია მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, სოფლის, უბნის სიყვარული.

მიმბაძველებიც გამოგჩენოდთ!

კულტურა, სპორტი, ხელოვნება

* * *

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში – „საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის“ წარმომადგენლობასთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა, შეხვედრაზე სიმბოლური ჯილდო გადაეცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტს, რომელიც 2023 წლის საუკეთესო მუნიციპალიტეტად დასახელდა.

აღსანიშნავია, რომ სასკოლო სპორტული ოლიმპიადის თამაშებში ჩართულია საქართველოს 1700-ზე მეტი სკოლის 100 000-მდე მოსწავლე. ოლიმპიადები კი შედგება მუნიციპალური, რეგიონული, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს თამაშებისა და დასკვნითი ეტაპებისგან.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა 2024 წლის სასკოლო სპორტის პროგრამებისა და საპილოტე პროექტის „საქართველოს თავისუფლების თამაშები“ განხილვა.

* * *

აპრილი სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოპოვებული წარმატებებით კარგი თვე აღმოჩნდა.

• ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის ფრენბურთის გოგონათა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა ქალაქ ქობულეთში ჩატარებულ ტურნირზე „ქობულეთის ღია პირველობა ფრენბურთში“ (მწვრთნელი გია შარაბიძე)

• ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლაში ტარიელ, კობა და დავით კობახიძეების ხსოვნისადმი მიძღვნილ კალათბურთში ჭაბუკთა შორის. გამართულ ტურნირზე მონაწილეობა მიიღეს: სენაკის, ხონის, ბორჯომის, ცაგერის და ამბროლაურის გუნდებმა. ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა ამბროლაურის სასპორტო სკოლის გუნდმა

*ქალაქ თბილისში გაიმართულ „საქართველოს ჩემპიონატი კუდოში – 2024“, წარმატებით იასპარეზა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის გუნდმა (მწვრთნელები: დავით დუშუაშვილი, გიორგი კერესელიძე).

ვულოცავთ ახალგაზრდა სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს მიღწეულ წარმატებას!

კარგი დასაწყისი, უკეთესის მოლოდინში

ამბროლაურის კულტურის ცენტრმა 2024 წელი საახალწლო ღონისძიებითა და საუკეთესო თანამშრომლების დაჯილდოებით დაწყებული მაყურებელსა და მსმენელზე საინტერესო ღონისძიებების შეთავაზებით თუ ვიმსჯელებთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა და მათი სტუმრები წლის ბოლომდე ნამდვილად არაერთ მრავალფეროვან პროგრამას იხილავს.

კულტურის ცენტრმა მსმენელი იანვარში ხათუნა დარახველიძის საიუბილეო საღამოზე მიიწვია და გადავსებულმა დარბაზმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა იმაში, რომ გემოვნებიანი, ხარისხიანი კონცერტები თუ სპექტაკლები ხალხს ენატრება და არც ოვაციას იშურებენ.

დაიმსახურა ქალბატონმა ხათუნამ. ის ხომ 22 წელია რაც კულტურის სფეროში მოღვაწეობს, არის ქალთა ანსამბლ „იავნანას“ სოლისტი, წამყვანი მეორე ხმა, აგრეთვე გახლავთ საესტრადო ჯგუფ „თეატრონის“ წევრი და პედაგოგი, რომელიც 32 წელია დაუღალავად, ენერგიულად ემსახურება თავის საყვარელ პროფესიას.

საღამოს დასასრულს, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქალბატონ ხათუნას სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

* * *

შემდეგ იყო ანსამბლის „საგალობელი“ სოლო კონცერტი. შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქიდან წარმატებული გასტროლიდან დაბრუნებულმა 45 წლის ისტორიის მქონე ანსამბლმა ანგარიში ჩააბარა მსმენელს და დაარწმუნა იმაში, რომ მიზნისათვის არ უღალატნია. 1973 წელს ლოტბარ როსტომ გოგოლაძის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით შექმნილი ანსაბლის მიზანი თავიდანვე. ტრადიციული რაჭული ნიმუშების აღდგენა-პოპულარიზაცია იყო. წარმატებითაც განხორციელდა რაჭული და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული ნიმუშების აღადგენა.

დღეს ქვეყანაში და მის გარეთაც აღიარებულ, უამრავი ჯილდოს, სიგელის და სახალხო ანსამბლის სტატუსის მქონე კოლექტივს წარმატებით ხელმძღვანელობს ლოტბარი თორნიკე სხიერელი, რაზედაც მეტყველებდა თითოულ შესრულებულ ნომერზე დარბაზის რეაქცია და სამხარეო ადმინისტრაციისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით ქართულ ფოლკლორში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელის გადაცემა.

მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობამ პირველი ნახვისთანავე თბილად მიიღო და შეიყვარა სპექტაკლი „მელაკუდას ოინები“. დამდგმელმა რეჟისორმა და მსახიობმა გელა ისიანმა, მსახიობებმა დავით დუშუაშვილმა, ნანა ლებანიძემ, ოლიკო და ქეთევან ფოფხაძეებმა ძალზე საინტერესო და დამახასიათებელი სახეების შექმნით მაყურებელს დასამახსოვრებელი წუთები აჩუქეს.

ასევე საინტერესო და წარმატებული აღმოჩნდა კულტურის ცენტრთან არსებული თოჯინების თეატრის ქუთაისელ კოლეგებთან სტუმრობა. ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თოჯინების თეატრში გამართულ სპექტაკლს მაყურებელის აპლოდისმენტები არ მოკლებია.

* * *

კულტურის სახლის სახალხო თეატრმა ამ დღეებში სამეზობლოდან კოლეგებსაც უმასპინძლა. ცაგერის სახალხო თეატრის კოლექტივმა ამბროლაურელი მაყურებლის სამსჯავროზე ვაჟა ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით ნ. სილაგაძის რეჟისორობით შექმნილი სპექტაკლი „სტუმარმასპინძელი“ გამოიტანა და შესაბამისად, შეფასებაც მაღალი მიიღო. მართლაც კარგი დასაწყისია. აღსანიშნავია ისიც, რომ მაყურებლის ინტერესი გაიზარდა, სიახლეების მოლოდინშია, რაც ხელოვანთათვის ერთგვარი სტიმულირებაცაა. იმედია, კულტურის ცენტრის სამსახურები ამბროლაურელ მაყურებელსა და მსმენელს წლის დარჩენილ პერიოდშიც ამ სიამოვნებას არ მოაკლებენ.

6 მაისი - მიცვალებულთა მოხსენიების დღე

ქართველებს არ გვესწავლება გარდაცვლილი ახლობლების საფლავების მოვლა და მათი ხსოვნისადმი რიტუალების აღვლენა, მაგრამ წელიწადში ერთი დღე მაინც გამორჩეულია. ესაა მიცვალებულთა მოხსენიების დღე, რომელიც ქვეყანაში ტრადიციულად აღდგომის მეორე დღეს აღინიშნება და მასშტაბურ ხასიათს იღებს ახლობელთა საფლავებზე გასვლა, მათი სხოვნისადმი პატივგება.

წელს ასეთია 6 მაისი. სამწუხაროდ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებულად მტკივნეულია ეს თემა, რადგან გვტოვებენ უფრო მეტი ვიდრე იბადებიან. შარშანაც 249 ადამიანი დააკლდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდშიც ბევრმა გვატკინა გული. მათ შორის ტრაგიკული აღსასრულით ბუდუ დვალაძემ. ასევე ლევან რაზმაძემ, რეზო გოგოლაშვილმა, ოთარ გელოვნიშვილმა, პეტრე კერესელიძემ, მანანა იაშვილმა და სხვებმა ოჯახის წევრებთან ერთად, ახლობლებისა და მეგობრების ალალი ცრემლი რომ გაიყოლეს თან. ნათელი და მარადიული სასუფეველი მათ და იმ ამბროლაურელთა სულებს, რომლებიც წლების უკან უხდებოდნენ რაიონს და დღეს ჩვენს მოგონებებში ცოცხლობენ.

თალიკო შავლაძის გახსენება

ენერგიული, პრინციპული, ზოგჯერ მკაცრიც, მაგრამ ადამიანისადმი დახმარების ხელის გამწვდელი და ვაჟკაცურად მხარში დამდგომი. ასე ხასიათდებოდა სანათესაოში და საზოგადოებაში თალიკო შავლაძე, რომელიც მედალზე ნიკორწმინდის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ წლები იმოღვაწა მშობლიურ რაიონში ხელმძღვანელ თანამდებობებზე განათლების, საფინანსო, სტატისტიკის სამსახურებში, პარტიის რაიკომში...

საყვარელი რძლისა და ძმისშვილის გარდაცვალების შემდეგ ბურჯად ედგა ძმის ოჯახს და დარდად გაიყოლა ძმის და ძმისშვილის დარდი. დაგვაკლდება მისი ომახიანი შემოძახილი, იმედად ვიტოვებთ იმას, რომ მის სულს მახსენებელი და სანთლის ანმთები არ მოაკლდება.

საახლობლო

გოჩა ნასარიძის გახსენება

„რამდენი ჩვენგან წასული კაცის ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს, მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც, კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს...“

40-ზე მეტი ცრემლიანი დღე გავიდა, რაც ეს საწუთრო ღირსეულმა ქართველმა, საქართველოზე, რაჭაზე, მშობლიურ სოფელ – ზედა შავრაზე უსაზღვროდ შეყვარებულმა პიროვნებამ, გოჩა ნასარიძემ, დატოვა. იგი გამორჩეული იყო ადამიანური ღირებულებებით, ინტელექტით, ზნეობით, რომელიც სიკეთის მარაგს გულით თან დაატარებდა და უშურველად გასცემდა კიდეც ირგვლივ ყოველივეს. სანაცვლოდ კი, არასოდეს, არაფერს ითხოვდა. ეს კი მისი არსებობის გამორჩეული სტილი იყო.

მოულოდნელი და ტკივილიანი იყო სოფელში გოჩას გარდაცვალება. შინარსიანი 63 წლიანი გზა განვლო მან ცხოვრების მანძლზე და დატოვა ადამიანურ ფასეულობაზე, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი ორი ვაკაცი. თავად კი, სულ რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილ მეუღლესთან, დალისთან, ერთად, შეუერთდა მარადიულ სამყოფელს. ადამიანი არის ის, რაც კაცისაგან რჩება, მასზე კეთილი მოგონება და მისი ნაკეთები საქმე. გოჩა ნასარიძემ ჰუმანიზმის, მეგობრობის, უანგარობის ნამდვილი მაგალითი გვაჩვენა და ამით ნათელი სახე შექმნა ღირსეული მოქალაქისა, რომელსაც დავიწება არ უწერია.

ნანა რაზმაძე

რედაქტორი
დალი
დარახველიძე

რედაქციის მისამართი:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის
სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაჯური ჯილაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.